პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 206 (10 125) ● ფასი 3 კაპ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი

გადაწყვეტილებიდან — პრაქტიკულ საქმეზე!

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმმა, როგორც „ლელოს“ მკითხველებს ადრე ვაუწყეთ, განიხილა ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლის ახალი ამოცანები და დასახა მისი რეალიზაციის გზები.

დღეს, ითქვა პლენუმზე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამინისტროებთან და უწყებებთან შექმნილ დარგობრივ ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელ კლუბებს. ამჟამად მუშაობს 16 ასეთი კლუბი, რომლებსაც სათავეში უდგანან მინისტრის მოადგილეები. მათთან ერთად კლუბების საქმიანობას ხელმძღვანელობენ დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების მდივნები და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები. კლუბების მთავარი ამოცანაა შექმნან პირობები მშრომელთა გაჯანსაღებისათვის, არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით გამონახონ ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მასების მოზიდვის ეფექტური საშუალებები.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან პუერპროდუქტების სამინისტროსთან, მეტალურგების, ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებთან შექმნილი კლუბები: „თავთავი“ (თავმჯდომარე ი. ოსიპოვი), „მეტალურგი“ (ბ. დათეშიძე) და „მენავთობე“ (ჯ. ლომიძე). ბოლო ორ წელიწადში ამ კლუბების აქტიური მონაწილეობით და ხელის შეწყობით მწყობრში ჩადგა 2 სპორტული დარბაზი, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 6 ნაგებობას, კეთილმოეწყო 15 მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, 6 სტრენაჟორო ოთახი, შეიქმნა 3 საჭადრაკო კლუბი და ჯანმრთელობის 4 საამქრო. მშრომელთა გაჯანსაღების საქმეს მოხმარდა ნახევარი მილიონი მანეთი. ეს გამოცდილება სახალხო მეურნეობის თითოეულ დარგში უნდა განზოგადდეს.

დადებითი შედეგები გამოიღო პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკების მიმაგრებამ ცალკეულ დარგებზე. ახლა 20 ასეთი სპეციალისტი კაბინეტებიდან კი არა, უშუალოდ დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტებიდან ხელმძღვანელობენ ფიზკულტურულ-მასობრივ და გამჯანსაღებელ მუშაობას. ისინი ამ კომიტეტების შტატგარეშე განყოფილებების გამგეებად ითვლებიან.

დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების ინიციატივით სისტემატიური ხასიათი მიიღო შაბათ-კვირას ტურისტულმა ლაშქრობებმა ბუნების წიაღში. წელს 73 ასეთი ღონისძიებაში მონაწილეობდა 30 ათასამდე მუშა-მოსამსახურე. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მსუბუქი მრეწველობის, ავტოტრანსპორტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების დარგობრივმა კომიტეტებმა.

კლუბების საქმიანობაში დადებითი ძვრების მიუხედავად, შრომით კოლექტივებში ეფექტურად არ იყენებენ შესაძლებლობებს. ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფიზკულტურულ მუშაობაში მშრომელების მასობრივად მოსაზიდად. დამფიქრებელია, რომ პროფკავშირული ბიუჯეტიდან ფიზკულტურულ-მასობრივი და გამჯანსაღებელი მუშაობისათვის გამოყოფილი 7 მილიონი მანეთიდან 6 თვეში ათვისებულია 2,3 მილიონი მანეთი, ანუ 32%, ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა სწორედ ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელმა კლუბებმა უნდა თქვან.

მშრომელთა გაჯანსაღებაში მნიშვნელოვანი ბერკეტი უნდა გახდეს მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა „ჯანმრთელობა“. ადგილებზე მდგომარეობის ანალიზიდან ირკვევა, რომ ეს შესაძლებლობა თითქმის ყველგან იგნორირებულია. პროგრამების ის ნაწილი, რომელსაც ჰქვია „ფიზკულტურა, სპორტი და ტურიზმი“, ფორმალურადაა შემუშავებული, არ ინერგება პრაქტიკაში. ეს საკითხი არ აწუხებთ ადგილობრივ პროფკავშირულ და სპორტულ ორგანიზაციებს. საქმეს ალბათ ისიც უშლის ხელს, რომ დღემდე პროგრამების შემუშავება ხდებოდა ზემოდან ქვემოთ. ამიტომ უმრავლესობა მოკლებული •ყო კონკრეტუ-

იხ. მე.2 გვ.

უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების საკავშირო ასოციაცია

გაიმართა უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების საკავშირო ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელმაც ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ასოციაციის შექმნის თაობაზე. მისი დამფუძნებლები არიან საკავშირო სპორტკომიტეტი, სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტი და პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭო.

ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულია დნეპროპეტროვსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტული კლუბის თავმჯდომარე — ვ. პოხილკო, ვიცე-პრეზიდენტად პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — მ. ელისეიკინი, აღმასრულებელ დირექტორად კი სპორტკლუბ „ბურევესტნიკის“ დირექტორი — ვ. სურკოვი. კონფერენციამ აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შეყვანილია ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული კლუბის თავმჯდომარე, დოცენტი ოთარ მიმინოშვილი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბორის როგატინი.

წინ სუპერფინალებია

კიევში გაიმართა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები იმ გუნდების მონაწილეობით, რომლებიც V-VIII ადგილებისთვის იბრძვიან.

თბილისის „დინამომ“ კიდევ ორი შეხვედრა ჩაატარა. ერთი, ალმა-ათის თანაკლუბელებთან მოიგო ანგარიშით 9:8, აი კიევის დინამოელებთან კი დამარცხდა 10:12.

კიდევ სხვა ორი ორთაბრძოლა ასე დამთავრდა: „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 8:8. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 7:10.

საბოლოო ჯამში მეხუთე ადგილი ალმა-ათის „დინამომ“ მოიპოვა, მეექვსე ადგილზე გავიდა კიევის „დინამო“, მეშვიდეზე — თბილისის „დინამო“, მერვეზე კი მოსკოვის „ტორპედო“.

გათამაშების ცხრილში პირველი ადგილი ცსკა ვმფ-მ დაიმკვიდრა, რომელმაც ფინალური ტურნირის ბოლო მატჩი მოსკოვის უნივერსიტეტს მოუგო 10:7, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. 37 ქულა, რომელიც სამხედრო მეზღვაურებმა მოიპოვეს, მათ სუპერფინალურ სერიაში თამაშის საშუალებას აძლევს. ეს მატჩები, რომელიც გაიმართება ნოემბერში დაასახელებს ქვეყნის 1989 წლის ჩემპიონსა და ვერცხლის მედლების მფლობელს. ცსკა ვმფ-ს მეტოქე ამ შეხვედრებში იქნება მოსკოვის „დინამო“, რომელმაც ბოლო კალენდარული ბრძოლა ლვოვის თანაკლუბელებთან ფრედ — 9:9 დაამთავრა და ასევე 37 ქულა დააგროვა, ოღონდ ბურთების უარესი სხვაობით,

ანალოგიური ხასიათის მატჩები ჩატარდება ბრინჯაოს პრიზიორის გამოსავლენადაც. ნოემბერში ერთმანეთს შეხვდებიან ლვოვის „დინამო“ (27 ქულა) და მოსკოვის უნივერსიტეტი (25 ქულა).

სოხუმის „დინამოს“ პერსპექტივაზი

სოხუმის „დინამოს“ ფეხბურთელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ბოლო ხანებში. სსრ კავშირის თასის 1987 წლის გათამაშებაში სოხუმელებმა, კერძოდ, საუკეთესოდ ითამაშეს უმაღლესი ლიგის წარმომადგენელ მინსკის „დინამოსთან“, წლეულს სტაბილურად, თანაბარი სიძლიერით იასპარეზეს II ლიგის IX ზონის საკავშირო გათამაშებაში, პირველი ადგილი დაიკავეს და ახლა პირველ ლიგაში გადასასვლელი ტურნირი ელით. ყველაფერი ეს მთელი კოლექტივისა და უფროსი მწვრთნელის, სსრკ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ანატოლი ნორაკიძის დიდი დამსახურებაა.

აფხაზეთში და, კერძოდ, სოხუმში სხვადასხვა წლებში მრავალი მაღალი კლასის ფეხბურთელი აღზრდილა, რომლებსაც წარმატებით დაუცავთ საქართველოს საუკეთესო გუნდებისა და სხვა ქალაქების კლუბების ღირსება. მათ შორის არიან ამირან ტყებუჩავა, ავთანდილ ღოღობერიძე, ვალერი სანაია, ვლადიმერ მარღანია, ნიკიტა სიმონიანი, ნიაზი ძიაშიპა, სარქის ოვივიანი, ბორის ხასაია, იური ვარდამიადი, გენადი ბონდარენკო, ვიტალი გეტმანოვი, ვლადიმერ ბარქაია, გიორგი სიჭინავა, გიორგი გრამატიკოპულო, გოჩა გავაშელი, იური კურტანიძე, ვიტალი დარასელია და მრავალი სხვა.

სოხუმის „დინამოს“ წინაშე ამჟამად ახალი, კიდევ უფრო პასუხსაგები, საპატიო ამოცანა დგას. უახლოეს დაძაბულ ტურნირში II ლიგის სხვა ზონებში გამარჯვებულ გუნდებთან პავლოდარის „ტრაქტორთან“ და ფერღანის „ნეფტიანიკთან“ ერთად მას დაძაბული ბრძოლა მოუწევს, რათა მომავალ სეზონში შეუერთდეს I ლიგაში მოასპარეზე საქართველოს სხვა გუნდებს. დღეს სოხუმის „დინამო“ პავლოდარში ხვდება ადგილობრივ „ტრაქტორს“, 30 ოქტომბერს კი ფერღანაში „ნეფტიანიკს“. წარმატებას ვუსურვებთ სოხუმელ ფეხბურთელებს!



სურათებზე: საკავშირო გათამაშების ერთ-ერთი მატჩი სოხუმის სტადიონზე (მუქი მაისურებით თამაშობენ სოხუმელი ფეხბურთელები); II ლიგის IX ზონაში გამარჯვებული სოხუმის „დინამოს“ კოლექტივი.

ბორის სოკოლოვის ფოტო. (საქინფორმი).

მსოფლიოს გუნდური პირველობა ჭადრაკში

ლუცერნში, 27 ოქტომბრიდან

27 ოქტომბერს ლუცერნში (შვეიცარია) იწყება მსოფლიოს მეორე გუნდური პირველობა ჭადრაკში 10 უძლიერესი ნაკრების მონაწილეობით: სალონიკის ოლიმპიადის 5 პირველი პრიზიორი — საბჭოთა კავშირის, ინგლისის, ჰოლანდიის, აშშ-ისა და უნგრეთის გუნდები, აგრეთვე, იუგოსლავიელები (როგორც ევროპის წარმომადგენლები), შვეიცარიელები (მასპინძლები), კუბელები (ამერიკის კონტინენტი), ჩინელები (აზიის კონტინენტი) და აფრიკის ქვეყნების ნაკრები.

საერთაშორისო ოლიმპიადის, ანუ როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, „ერების ტურნირისგან“ განსხვავებით, სადაც მისი სპეციფიკის გამო, ძლიერებთან ერთად ბევრი სუსტი გუნდიც იყრის თავს, ლუცერნის შეჯიბრების შემადგენლობა ბევრად უფრო თანაბარი იქნება. აქ მთავარ ფავორიტად საბჭოთა ნაკრები ითვლება, თუმცა იგი უმსოფლიო ჩემპიონოდ ითამაშებს. საქმე ის არის, რომ გარი კასპაროვი აშშ-ში მართავს ტურნეს და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე ადრევე განაცხადა უარი. ზოგი მიმომხილველი ამას საკავშირო საჭადრაკო ფედერაციის პოზიციის პასუხად თვლის, რომელიც მაისში არაფრით დაეხმარა კასპაროვს (დიდოსტატთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტს), მოსკოვში მსოფლიო თასის ერთ-ერთი შესარჩევი ტურნირის ჩატარებაში.

პირველ დაფაზე კარპოვს ფრიად სერიოზული მეტოქეები ეყოლება. ესენი იქნებიან: ინგლისელი ნაიჯელ შორტი, რომელიც გუნდურ შეჯიბრებაში ყოველთვის კარგად თამაშობს, რეიტინგის თვალსაზრისით კი ამჟამად III-IV ადგილებს იყოფს მსოფლიოში (ვასილი ივანჩუკთან ერთად), აშშ-ის გუნდის ლიდერი იასერ სეირავანი, ფრიად აგრესიული, შემტევი სტილის მოჭადრაკე, 52 წლის უნგრელი ლაიოშ პორტიში. მან ხელი აიღო მსოფლიოს პირად პირველობაში ბრძოლაზე, მაგრამ კვლავინდებურად ბადალი არ ჰყავს უნგრეთში და ისევ პირველ დაფაზე თამაშობს. პორტიშისა არ იყოს, არც ლიუბომირ ლიუბოევიჩს ჰყავს მეტოქე თავის ქვეყანაში. ეს განთქმული იუგოსლავიელი დიდოსტატი მუდმივად ქალაქ ლინარესში (ესპანეთი) ცხოვრობს, მაგრამ, რა თქმა უნდა, მონაწილეობს სამშობლოში გამართულ ყველა ღონისძიებაში, ხელმძღვანელობს იუგოსლავიის ნაკრებ გუნდს. საინტერესო იქნებოდა კარპოვის შეხვედრა იან ტიმანთან, მაგრამ, კასპაროვის მსგავსად, მასაც კონფლიქტი აქვს თავისი ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციასთან და ლუცერნში თამაშზე უარი განაცხადა. გავიხსენოთ, რომ ტიმანი არც სალონიკის ოლიმპიადაში მონაწილეობდა. პირველ დაფაზე მას იონ ვან დერ ვილი შეცვლის. შვეიცარიის გუნდში ლიდერის როლს ვიქტორ კორჩნოი შეასრულებს, რომელთანაც კარპოვს სამი დიდი მატჩი აქვს ნათამაშევი. კუბელთა გუნდში პირველ დაფაზე გალიელმო გარსია გამოვა.

გარდა პირველ დაფაზე მოსალოდნელი საინტერესო ბრძოლისა, ლუცერნში ბევრი სხვაც იქნება საყურადღებო. გუნდების მწვრთნელები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ შემადგენლობის შერჩევას. იუგოსლავიის ნაკრების ახალმა ხე-

იხ. მე.3 გვ.

გადაწყვეტილებიდან—პრაქტიკულ საქმეზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ლობას და შემოიფარგლებოდა ზოგადი, თეორიული ხასიათის ღონისძიებებით. ახლის შემუშავებისას ყურადღება იმისაკენ უნდა იქნას მიმართული, რომ „ჯანმრთელობის“ პროგრამების ფიზკულტურული ნაწილი საგრძნობლად შეიცავდეს მშრომელთა გაჯანსაღებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ, პრაქტიკულ საკითხებს.

ანალოგიურია ვითარება წარმოებადაწესებულებებში, კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმებისას.

ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა გამაჯანსაღებელი კლუბების მუშაობა ინტერესების მიხედვით. ახლა პროფკავშირების სისტემაში 450 ასეთი კლუბი მუშაობს, სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა ასაკის 14 ათასზე მეტი ფიზკულტურელი. მათ შორის უფრო ორგანიზებულია რბენის მოყვარულთა გაერთიანებები. სამწუხაროდ, კლუბებს აკლიათ ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

პლენუმზე განსაკუთრებით გამოიკვეთა მუშათა სპარტაკიადასთან დაკავშირებული საკითხები, რომელსაც დასაბამი გასულ წელს მიეცა. ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა 30.307 საბრიგადო და 1.724 საოჯახო გუნდი (187 ათასი წარმომადგენელი). ეს არის მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საერთო რაოდენობის 17%. რესპუბლიკურ ფინალურ შეჯიბრებებში 8 სახეობაში მონაწილეობდა 24 საბრიგადო და 21 საოჯახო გუნდი. 80 საუკეთესო მუშა-სპორტსმენი და მათი ოჯახის წევრები გამოვიდნენ საკავშირო ფინალურ შეჯიბრებაში. ამჟამად მიმდინარეობს ამ ღონისძიების ახალი ციკლი.

პლენუმზე სოფლის მოსახლეობასთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხებიც გაანალიზდა. რაიონული ცენტრების ჩაუთვლელად, სოფლების 70% არ გააჩნია არავითარი ბაზა. ასეთ პირობებში, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საოჯახო იჯარაზე გადასვლის შედეგად სოფლად ფიზკულტურულ მუშაკთა საშტატო ერთეულების შემცირება გრძელდება, შეუძლებელია სოფლის მოსახლეობის ფიზკულტურულ-მასობრივ და გამაჯანსაღებელ მუშაობაში ჩაბმა. ეს საკითხი უკვე საერთო საზრუნავია.

სოფლის მეურნეობაში ჩვენთან დღეს დასაქმებულია 1 მილიონამდე ადამიანი. მათ შორის, სტატისტიკური მონაცემებით, ფიზკულტურელია 450 ათასი. აქედან საკმარისია კლუბი ინტერესების მიხედვით (სულ 25), სოფლად 15 საკურაო აუზიდან მუშაობს მხოლოდ 6. 60 სპორტული ბაზიდან და ნაგებობებიდან 20-ს გააჩნია საშხაპეები, ისიც მინიმალური რაოდენობით. ყოველივე ამის გამოცაა, რომ არ მცირდება დროებითი შრომისუუნარობის მაჩვენებლები (წელიწადში საშუალოდ 2 მილიონ 300 ათასი კაცდღე). სოფლის 815 ფიზკულტურის მეთოდისტიდან 200-ზე მეტი ნახევარ საშტატო განაკვეთზეა, ამასთან ერთ მესამედს არა აქვს ფიზკულტურული განათლება. ეს ფაქტები აშკარად მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად გადაუდებელია საქმე.

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება ამჟამად 12 რაიონში აშენებს სპორტულ ბაზებს, მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 მილიონ 200 ათასი მანეთია. ეს მოცულობა 2-ჯერ მეტი შეიძლება იყოს (კაბადაბინდებები საზოგადოებას გააჩნია), მაგრამ გაძნელებულია დაფინანსების წყაროების გამოძებნა. დამატებით წყაროებზე რომ არაფერი ითქვას, ახლო მომავალში მოსალოდნელია ძირითადი წყაროს დაშრობაც, რადგან აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა რესპუბლიკურ კომიტეტს ფინანსური სირთულეები შეექმნა.

სოფლად ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის პლენუმმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებას რესპუბლიკურ საბჭოსთან სპეციალური ქვედანაყოფის — სოფლის ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის შექმნის თაობაზე. კლუბს ექნება თავისი ფინანსები და უფლებები, ეყოლება რაიონული რგოლები. ასეთი კლუბი მოქმილი სტრუქტურითა და აპარატით სერიოზული მაკოორდინირებელი რგოლი იქნება პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ერთიან სტრუქტურაში.

პლენუმის მონაწილეებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება საკავშირო პრესაში გამოქვეყნებული ფიზიკური კულტურისა და სახალხო სპორტის განვითარების კონცეფციისა და სახელმწიფო პროგრამის პროექტებისადმი.

— თუ ეს სახელმწიფო ამოცანაა, რით აგხსნათ ის, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები მხოლოდ ე. წ. დიდ სპორტს, ჩემპიონთა მედლების გამოჭედვას ხმარდება, მშრომელთა გაჯანსაღებისათვის კი სახსრები აღარ რჩება? — დაისვა კითხვა პლენუმზე.

პროფკავშირები ამჟამად ერთ კაცზე წელიწადში საშუალოდ 7 მანეთს ხარჯავს, რაც ძალზე ცოტაა, თანაც ეს თანხა თვით მშრომელების საწევრო ანარიცხებიდანაა აღებული. საჭიროა, რომ სახელმწიფომ დააფინანსოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული წარმოება-დაწესებულებების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, პროფკავშირული ორგანიზაციების, კოოპერატივების სახსრები.

გაანალიზდა ფიზკულტურულ კადრებთან მუშაობის პრობლემებიც. კადრების სრული მობილიზების პირობებშიც კი 1,5 მილიონი ადამიანი მომსახურების გარეშე რჩება. დასვა საკითხი მაღალი კვალიფიკაციის ფიზკულტურული კადრების მომზადების არსებული სისტემის დახვეწის აუცილებლობის შესახებ. გასათვალისწინებელია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც იმუშავებენ საცხოვრებელ ადგილებში, ინვალიდებთან და ა. შ.

გაიმართა მსჯელობა იმ რეზერვების ამოქმედების აუცილებლობაზე, რომლებიც პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებას დღეს გააჩნია. პირველ ყოვლისა, გადასაჭრელია მცირერიცხოვანი კოლექტივების საკითხი. აქ იკვეთება ორი მიმართულება: **პირველი** — მცირერიცხოვანი კოლექტივების დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპით გაერთიანება და შესაბამისად მათი თავმჯდომარეების საშტატო ერთეულების დაშვება; **მეორე** — დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების მხრიდან ძირეული რგოლების მართვის არსებული მექანიზმის ეფექტური გაშოყენება ამ დარგებში მომუშავე სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკების მეშვეობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პლენუმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება 1990 წლის, ძირეული რგოლის — ფიზკულტურის კოლექტივის წლად გამოცხადების შესახებ. ამ საქმეში ჩაებმება საზოგადოების ყველა პასუხისმგებელი მუშაკი.

პლენუმმა ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად მიიჩნია აგრეთვე ფიზიკური კულტურისა და მასობრივი სპორტისათვის სათანადო პირობების შექმნისათვის ზრუნვა. ამ მიმართებით საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს დაევალათ შეიმუშაონ სახალხო დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან ერთად კონკრეტული ღონისძიებები.

ამ მიზნით: მშრომელთა გაჯანსაღებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი ტერიტორიები მიემაგრება მსხვილ წარმოება-დაწესებულებებს ჯანმრთელობის ზონების მოსაწყობად. შემუშავდება რაიონებისა და ქალაქების ტერიტორიებზე არსებული სპორტული დარბაზებისა და ნაგებობების კეთილმოწყობის, მიშენებებისა და რეკონსტრუქციების კონკრეტული პროგრამები. აქ გათვალისწინებული იქნება ბაზების გასახდელებითა და საშხაპეებით უზრუნველყოფა. კულტურისა და დასვენების ყოველ პარკსა და მწვანე ზონაში მოეწყობა ჯანმრთელობის ბილიკები, ველოტრასები, მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, სპორტული და ტურისტული ინვენტარის გაქირავების პუნქტები. ეს იქნება 2-წლიანი პროგრამა და ყველაფერი გაკეთდება მის შესასრულებლად.

პლენუმმა მოიწონა რესპუბლიკური საბჭოს მიერ გატარებული ღონისძიებები საზოგადოების პირველი ყრილობიდან გასულ პერიოდში. კერძოდ, შეიქმნა საქართველოს სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ჯერჯერობით პირველია საბჭოთა კავშირში, მომზადდა წინადადებები დამზმარე საწარმოების შექმნის თაობაზე; სპორტნაგებობათა სამმართველოსთან საპეურნეო ანგარიშზე შეიქმნა აკრობატული სანახაობითი თეატრი „კლოუნადა“, ასევე სამეურნეო ანგარიშზე მუშაობს სპორტულ-სანახაობითი შემოქმედებითი გაერთიანება „ორბი“; მრავალდარგობრივი კოოპერატივი „ავერსი“, რომელიც უშვებს დეფიციტურ დანადგარებს და სხვა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საზოგადოება მომავალი წლიდან ჩაატარებს საფეხბურთო პროგნოზის ლატარეას, რომლის შემოსავალი მთლიანად მოხმარდება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დაფინანსებას.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა დავიცვათ მშრომელთა კანონიერი უფლებები და ინტერესები, ვიზრუნოთ მათი გაჯანსაღებისათვის. ეს სპორტსაზოგადოების თითოეული ქვედანაყოფიდან მოითხოვს პრინციპულ მიდგომას პრობლემებისადმი, საქმიანი კონტაქტების განმტკიცებას საბჭოთა სამეურნეო ორგანოებთან. პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად საზოგადოების ადგილობრივი საბჭოები უნდა გახდნენ უფრო მეტად დამოუკიდებელნი თავიანთ საქმიანობაში. როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ისინი უნდა განთავისუფლდნენ შესაბამისი პარტიული, საბჭოთა. და სამეურნეო ორგანოების ზეწრო მეურვეობისაგან, გამოიჩინონ მეტი ინიციატივა და ემსახურონ თავიანთ უპირველეს მოვალეობას — ერის გაჯანსაღების კეთილშობილურ საქმეს.

პლენუმმა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს დაავალა საზოგადოების სუვერენიტეტის მოსაპოვებლად და საკავშირო ორგანოებისაგან დამოუკიდებლად განვითარებისათვის კონცეფციის პროექტის შემუშავება.

ვალმოხდილი მოღვაწე

იმ დიდ და ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეს, რომელსაც ფიზიკური კულტურისა და სპორტის უანგარო სამსახური ჰქვია, იმთავითვე ედგა სათავეში პატიოსანი და მოღვაწე ხალხი. ეს თავისთავად დიდი ბედნიერება იყო, ბედნიერება, რომლის ნაყოფს ჩვენი ხალხი, საზოგადოებრიობა დღესაც წარმატებით იმკის.

ოციანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ირაკლი ბაცელაშვილი ახალგაზრდა თაობის სულიერად და ფიზიკურად ჩამოყალიბების მოთავეთა შორის დგას და უნარიანად ხელმძღვანელობს ჩვენი ცხოვრების ამ ერთ-ერთ საპასუხისმგებლო უბანს. ადამიანს, რომელმაც მოზარდების აღზრდას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია, დაგვეთანხმებით ალბათ, ბევრი რამ განუცდია და გამოცდილებაც საკმარისი მიუღია.

იგი ძველი ტანმოვარჯიშე გახლავთ, თანაც ისეთი, რომელმაც არჩილ ბაქრაძის პრესტიჟული სკოლა გაიარა. სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, გულმოდგინედ ეუფლებოდა იმ დროს განსაკუთრებით საჭირო და პოპულარულ სპეციალობას, მაგრამ გული უჩუმრად სპორტისკენ მიუწევდა. ამ საქმეშიც რომ კომპეტენტური ყოფილიყო, ფიზკულტურის ინსტრუქტორთა კურსები დაამთავრა. აფხაზეთს იმხანად, ისევე როგორც მთელს საქართველოს, ფიზკულტურის დარგის უნარიანი სპეციალისტები სჭირდებოდა და ირაკლი ბაცელაშვილი სპეციალური დავალებით ოჩამჩირეს გაემგზავრა. იქ ჯერ მაზრის ფიზკულტურის ინსტრუქტორად მუშაობდა, მერე კი ფიზკულტურის რაისაბჭოს პასუხისმგებელ მდივნად.

ფიზკულტურის ინსტრუქტორობა დღეს ჩვენ ჩვეულებრივ საქმედ მიგვაჩნია, ქართული სპორტის ყამირელთათვის კი იგი ეროვნული ღირსების სინონიმი იყო. ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა პატრიოტი მამულიშვილები უსიტყვოდ მიდიოდნენ იქ, სადაც საქმე მოითხოვდა. მაშინდელ ენთუზიასტებს თვალწინ ჰქონდათ დიდი გიორგი ნიკოლაძის მაგალითი, როცა ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ბრწყინვალე მათემატიკოსი და ღრმად განსწავლული მეცნიერი თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად წავიდა. ასეთი თავგანწირვა მაშინ საქმისათვის იყო საჭირო და ირაკლი ბაცელაშვილმაც ოჩამჩირის ქართულ და რუსულ სკოლებში ფიზკულტურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა (სხვათა შორის, ასევე მოიქცნენ იმ პერიოდში გიორგი მერკვილაძე, საშა ქუთათელი, სიმონ მაჩაბელი, დათა ჯავრიშვილი, ლადო ბათიაშვილი, გიორგი საყვარელიძე, მიქელ პატარიძე და სხვები).

აფხაზეთში გატარებული ექვსი წელი (1929 წლიდან 1935 წლამდე) ნაყოფიერი გამოდგა იქაური ახალგაზრდებისთვისაც და თავად ირაკლი ბაცელაშვილისთვისაც. სწორედ თბილისიდან ჩასული სპეციალისტის დამსახურება იყო, რომ რესპუბლიკაში სულ მალე გაითქვეს სახელი იქაურმა ფეხბურთელებმა და კალათბურთელებმა, ფრენბურთელებმა და მძლეოსნებმა.

ეს კი არა, იმხანად აფხაზეთში ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო გოგონათა სპორტში ჩაბმა, მოედანზე სპორტული ფორმით გამოყვანა. ამ დაუწერელი წესის დასარღვევად დიდი ტაქტი და შინაგანი ალღო იყო საჭირო. ირაკლი ბაცელაშვილმა ფაქტიურად შეუძლებელი შეძლო — რაიონის თითქმის ყველა სოფელში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურული კოლექტივები და სპორტული წრეები ჩამოაყალიბა და მათში გოგონებიც მიიზიდა.

აფხაზეთიდან ვალმოხდილი დაუბრუნდა თბილისს და ქალაქის ერთ-ერთი რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორად დაიწყო მუშაობა, თანაც რაიონის ბავშვთა სპორტული სკოლა ჩაიბარა როგორც დირექტორმა. იგი უკვე გამოცდილი სპეციალისტი იყო, რომლისგანაც ხალისით იღებდნენ რჩევა-დარიგებებს, წინადადებებსა და შენიშვნებს. ამ პერიოდში ხშირად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო თათბირებში, კითხულობდა მოხსენებებს ბავშვთა სპორტის პრობლემებზე, მის აწმყოსა და მომავალზე, ალბათ ამიტომ და კიდევ იმის გამო, რომ უნარიანი კაცის სახელი დაუვარდა, 1940 წელს თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა ცენტრალური სპორტული სკოლის დირექტორად დაინიშნა.

სამამულო ომი, რომელმაც ბათუმში მოუსწრო, მისი ხასიათის კიდევ ერთი მკაცრი გამოცდა იყო. იგი თავდადგა ფრონტზე გზემგზავრა და, როგორც ოფიცერი, კეთილსინდისიერად იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინაში, ბელორუსიასა და ბალტიისპირეთში. ომი რომ დამთავრდა, პოლკის უფროსის მოადგილე არტილერიის დარგში შინ დაბრუნდა ალექსანდრე ნეველის, წითელი დროშის, სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის ორდენებით და თორმეტი საბრძოლო მედლით მკერდდამშვენებული.

ომგადახდილი კაცისთვის ძნელია სწავლის გაგრძელება, მაგრამ ირაკლიმ ეს სირთულეც დასძლია და ვინაიდან იმთავითვე გადაწყვეტილი ჰქონდა მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის სამსახური, მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის მსმენელი გახდა. აი, მისი უტეხი ხასიათის კიდევ ერთი შტრიხი. საქმეს, რომელსაც ხელს ჰკიდებდა, ბოლომდე უნდა გაჰყოლოდა და შეესწავლა.

სწავლა და შრომა მისთვის მუდამ ერთიანი პროცესი იყო, ამიტომ ერთხანს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის ინსპექციის ინსტრუქტორად მუშაობდა, მერე ბავშვთა ცენტრალური სპორტული სკოლის დირექტორად, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ აღზრდის დარგში, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ, განათლების სამინისტროს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსად. საქმეში გამორჩეულ და საქმისთვის თავდადებულ ირაკლი ბაცელაშვილს სხვადასხვა დროს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდებები, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, სხვა მრავალი ჯილდო.

ადამიანი, თუ კი იგი, ამავე დროს, პიროვნებაცაა, უსათუოდ ტოვებს კვალს საქმეში, ცხოვრებაში. ირაკლი ბაცელაშვილმა ბევრი რამ მიიღო თავისი დიდი მასწავლებლებისგან, მაგრამ თავადაც ბევრი გასცა, წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნა ახალგაზრდებს დაუბრუნა. სწორედ ასეთი კაცზე ამბობენ ხოლმე, ვალმოხდილი მოღვაწეო. დიახ, იგი მოღვაწეა, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. კიდევ მოქალაქე, რომლის კრედო ინტელექტუალური და საქმიანი საწყისების სინთეზი გახლავთ. ამიტომაც რვა ათეულ წელს მიღწეული კაცი დღესაც შინაარსიანი ცხოვრებით ცხოვრობს და მოღვაწეობს იქ, სადაც საქმემ მიიყვანა— თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალურ რესპუბლიკურ სასპორტო სკოლაში.

ნ. ბუბუშვილი.

• • •

ფოტოსურათზე აღბეჭდილი არიან ქართული სპორტის მოღვაწეთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები. კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური მათ შორის უხნესსა და უპირველესს — გიორგი მერკვილაძეს უპყრია. მისგან მარცხნივაა ირაკლი ბაცელაშვილი, მარჯვნივ კი ვაკა კალანდაძე.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

განვლილ კვირასა და ორშაბათს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა, 29-ე ტურის შეხვედრები.

„სპარტაკი“ — „დინამო“ (კიევი) 2:1 (0:1). ამ სეზონის ჩემპიონატში, რომელსაც 60 ათასი მაყურებელი დაესწრო, წარმატებას უკვე მე-3 წუთზე მიაღწიეს კიეველებმა, ბურთი გაიტანა პროტასოვმა. შესვენების შემდეგ მოსკოველმა ე. კუზნეცოვმა ანგარიშიც გაათანაბრა, ხოლო 90-ე წუთზე შმაროვმა ზუსტად დაარტყა საჯარიმო.

გაფრთხილეს მიხაილიჩენკო („დინამო“) და პოზდნიაკოვი („სპარტაკი“).

დუბლიორები — 1:1.

„ზენიტი“ — „დნეპრი“ 1:2 (0:0). გოლები: ლიუტი, ბაგმუტი („დნეპრი“), ჩუხლოვი („ზენიტი“, 11-მეტრიანი).

მატჩი იმსაჯა თბილისელმა არბიტრმა გ. სეფიაშვილმა, რომელმაც შეფასება 5 დაიმსახურა.

დუბლიორები — 2:2.

„შახტიორი“ — „დინამო“ (მინსკი) 3:2 (2:1). გოლები: პეტროვი-2, იაშჩენკო („შახტიორი“), გერასიმეცი, შოროკი („დინამო“). შეხვედრის მე-20 წუთზე დონეცკელმა პეტროვმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

გაფრთხილეს დონეცკელი ფეხბურთელები ლეონოვი და გოშკოდერია.

დუბლიორები — 1:2.

„მეტალისტი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 0:1. გოლი: კობელევი.

გაფრთხილეს ხარკოველი ლანცფერი და დინამოელი კირიაკოვი.

„ტორპედო“ — „ჩერნომორეცი“ 5:2 (2:0). გოლები: გიცელოვი-2, გრეჩნევი, ი. სავიჩევი-2 („ტორპედო“), გეცკო, შელეპნიცკი („ჩერნომორეცი“).

გაფრთხილეს „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელი შელეპნიცკი.

დუბლიორები — 4:2.

„არარატი“ — „ლოკომოტივი“ 0:2 (0:1). გოლები: ფედინი, რუსიაევი.

გაფრთხილეს ლოკომოტიველი გალაკბეროვი.

სტუმართა გაითუცხადებლობის გამო დუბლიორთა შეხვედრა არ შედგა.

„როტორი“ — „პამირი“ 1:0 (1:0). გოლი: სტოგოვი.

გაფრთხილეს დუშანბელი სარტაკოვი.

დუბლიორები — 1:2.

● **სსრ კავშირის** 1989 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის უმთავრესი, საკვანძო საკითხები სწორედ ამ ბოლოსწინა ტურში გადაიჭრა: გამოვლინდა სამივე საპრიზო ადგილის მფლობელი, გამოვლინდნენ ის გუნდებიც, რომლებსაც გაისად I ლიგაში მოუწევთ თამაში.

● **ოქროს** medლები მოიპოვეს მოსკოვის სპარტაკელებმა, ეს მათი მეთორმეტე წარმატებაა საკავშირო ჩემპიონატში და ამ მაჩვენებლით გუნდი გაუსწორდა კიევის „დინამოს“.

„სპარტაკი“ 1936 (შემოდგომა), 1938, 1939, 1952, 1953, 1956, 1958, 1962, 1969, 1979, 1987 წლებშიც იყო ჩემპიონი, მაგრამ, ამავე დროს, 1977 წელს მას I ლიგაში მოუწია თამაშში.

● **უმაღლესი** ლიგის ძველ ბინადრთაგან მხოლოდ მოსკოვის „დინამოს“, კიევის „დინამოს“, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ არ დაუტოვებიათ ლიგა. ლენინგრადის „ზენიტი“ 1938 წლიდან უცვლელად გამოდიოდა უმაღლეს ლიგაში, წლეულს კი მისი რიგების დატოვება მოუხდა.

● **ამ** ტურში სულ 29 ბურთია გატანილი, რაც სარეკორდო მაჩვენებელია მიმდინარე ჩემპიონატში. ამავე დროს ამ ტურის 8 მატჩში არც ერთი არ დამთავრებულა ფრედ.

● **ბოლო** ტურის წინ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია სპარტაკელი ს. როდიონოვი — 16 ბურთი. 13 გოლი გაიტანა ოდესელმა გ. კონდრატიევმა.

● **ხარკოვის** „მეტალისტის“ ფეხბურთელმა ი. ლანცფერმა წლევანდელ გათამაშებაში მეექვსედ დაიმსახურა ყვითელი ბარათი, დონეცკის „შახტიორის“ მოთამაშეები ი. ლეონოვი და ვ. გოშკოდერია ოთხ-ოთხჯერ გაფრთხილეს.

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შეხვედრების

მდგომარეობა 26 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მნ.	29	19	5	5	56-28	43
„სპარტაკი“	29	17	9	3	61-22	43
„დნეპრი“	29	16	9	4	43-27	41
„დინამო“ კ.	29	16	8	5	55-21	40
„ჟალგირისი“	29	16	7	6	49-24	39
„დინამო“ მ.	29	13	4	12	45-44	30
„დინ.“ თბ.	29	11	8	10	45-42	30
„ტორპედო“	27	10	10	7	36-33	30
„ლოკომ.“	28	12	4	12	45-29	28
„არარატი“	28	9	7	12	34-52	25
„შახტიორი“	29	8	5	16	28-46	21
„მეტალის.“	28	8	5	15	27-46	21
„პამირი“	28	7	6	15	27-53	20
„ზენიტი“	28	6	5	17	24-51	17
„როტორი“	27	5	5	17	23-54	15
„ჩერნომ.“	28	4	5	19	33-60	13

II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების გამოტოვებული მატჩები: „კოლხეთი“ (ხობი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 2:1, „დინამო“ (სოხუმი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 5:1, „დილა“ (გორი) — „ტორპედო“ (ვოლესკი) 2:1. სამტრედიაში „ლოკომოტივთან“ სათამაშოდ არ გამოცხადდა ვოლგოდონსკის „ატომმაში“, ვოლგოდონსკელებს ჩაეთვალათ წაგება — 0:3.

I ლიგა

„გურიამ“ კვლავ გაიმარჯვა

გია გურულის ჰეთ-თრიკი

გუშინ გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 41-ე ტურის მატჩები.

ლანჩხუთის „გურია“ კრასნოდარში შეხვდა „უუბანს“. თამაში დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით — 3:1. სტუმართაგან სამივე გოლი გურულმა გაიტანა.

ქუთაისის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს რიგის „დაუგავა“ და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 4:0.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და სტავროპოლის დინამოელები. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

ბათუმის „ნორჩი დინამოელი“ — პოლონეთში

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ქ. ლოძში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ჰაბუკთა შორის ფეხბურთში სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადისლავ კროლის პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბათუმის „ნორჩი დინამოელიც“.

პირველ ტურში ბათუმელ ფეხბურთელთა მეტოქე იყო ადგილობრივი „სტარტი“, უკვე მატჩის დასაწყისში დინამოელმა დ. ფხაკაძემ ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში, ტაიმის მიწურულს კი გ. ქოჩალიძემ მეორედ აიღო პოლონელთა კარი. 2:0 — ამ ანგარიშით დამთავრდა ეს მატჩი.

მეორე ტურის შეხვედრა „ვლოკნიარავთან“ ბათუმელთათვის წარუმატებლად დაიწყო, თავიდან დაწინაურდნენ მასპინძლები — 1:0. მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლეს ბათუმელებმა თამაშში გარდატეხის შეტანა, გ. ჭელიძემ და გ. ქოჩალიძემ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

მომდევნო ტურში ბათუმელებმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს ქ. ლოძის რეგიონის ნაკრებთან — 3:0.

გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველი ფეხბურთელების მეტოქე იყო ლოძის ლიკს-ი. თამაში გაიმართა ლოძის ცენტრალურ სტადიონზე, დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ბათუმის „დინამოს“ ჰაბუკებმა — 3:2 (მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ვ. მეაკია და ლ. ვერულიძე), მათ 8 შესაძლებლიდან მაქსიმუმი დააგროვეს და დამსახურებულად მოიპოვეს საპატიო თასი.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი დაიმსახურა გ. ქოჩალიძემ.

ოთარ ფურვანიძე.
„ლელოს“ კორ.

პროფესიული ფეხბურთის გზებზე

ამ დღეებში მოსკოვში სსრ კავშირის საფეხბურთო ლიგების კავშირის აღმასკომის რიცხობრივი შემადგენლობა. აირჩიეს მისი პირველი წევრები: ვ. პონედელნიკი, კ. ბესკოვი, ვ. ლობანოვსკი, ნ. სიმონიანი და ლ. იაშინი, აღმასკომის დანარჩენ წევრებს დაასახელებენ მოგვიანებით.

უახლოეს ხანში უნდა შემუშავდეს საკავშირო შეჯიბრებათა სტრუქტურული ფორმულა და დებულება.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი III ევროპულ ზონაში, თურქეთის ნაკრებმა თავის მოედანზე მიიღო ავსტრიის ეროვნული გუნდი და დაამარცხა იგი დიდი ანგარიშით — 3:0.

რომი. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი — კოსტა-რიკის ფეხბურთელთა ნაკრები მეორე მატჩში შეხვდა იტალიის დედაქალაქის „რომას“ და კვლავ დამარცხდა — 1:2 (პირველი შეხვედრა კოსტა-რიკის ფეხბურთელებმა წააგეს იტალიის მეორე ლიგის წარმომადგენელ „ტორინოსთან“ — 0:2).

ბელგრადი. ვილნიუსის „ჟალგირისის“ მეტოქე უეფა-ს თასის გათამაშებაში იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა“ სათავეში უდგას ერთ-ერთ ადგილზე ბელგიელ „ანდერლეხტთან“ ერთად. ბელგიელ ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ამ ადგილზე ბოლოს 1986 წელს ყოფილა.

ბონი. მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქემ (უეფა-ს თასზე) „კიოლნმა“ ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარული მატჩი წააგო დიუსელდორფის „ფორტუნასთან“ — 1:3.

პრაღა. სსრ კავშირის ჰაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიაში ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ჩახოსლოვაკიელ თანატოლებთან. პირველი თამაში მოიგეს სტუმრებმა ანგარიშით 3:1, ხოლო მეორე წააგეს — 1:2.



საუკეთესო — ვალტერ ძენგა

მრავალი ქვეყნის ჟურნალისტებმა მიიღეს მონაწილეობა თავისებურ ანკეტაში, მათ უნდა გამოევლინათ თანამედროვეობის № 1 მეკარე ფეხბურთში. ხმების უმრავლესობით საუკეთესოდ მიჩნეულია იტალიის ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ კარის მცველი ვალტერ ძენგა.

„პეპსი-კოლა“ — ბრაზილიელთა ერთ-ერთი სპონსორი

მიღწეულია შეთანხმება „პეპსი კოლას“ კონცერნსა და ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობას შორის. ამიერიდან „პეპსი კოლა“ ბრაზილიელთა ერთ-ერთი ოფიციალური სპონსორი ხდება და მათ განკარგულებაში 1 მილიონ დოლარს გადასცემს.

ერთიანი კანდიდატურა წამოაყენეს

როგორც ჰოლანდიისა და ბელგიის ფეხბურთის ფედერაციებმა გამოაცხადეს, მათ შეთანხმებას მიაღწიეს 1996 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩასატარებლად თავიანთი ერთიანი კანდიდატურის წამოყენების შესახებ. უეფა მაინცდამაინც კარგი თვალით არ უყურებს ასეთ „გაერთიანებებს“. მაგალითად, შვედებმა და დანიელებმა. უარი მიიღეს, როცა ევროპის 1992 წლის პირველობის ერთობლივი ძალით ჩატარება გადაწყვიტეს.

შეწყვეტა ეს ხანგრძლივი სერია

როგორც ცნობილია, ბუქარესტის „სტიაუას“ ფეხბურთელებს თავიანთ ქვეყანაში კარგა ხანია სერიოზული კონკურენტი არა ჰყავთ. „სტიაუა“ სისტემატურად ეუფლება რუმინეთის ჩემპიონობასა და თასს, გურეს იშვიათი წარმატების სერია ჰქონდა: ქვეყნის პირველობასა და თასზე დაუმარცხებლად ზედიზედ 117 (!) მატჩი წარმართა, რაც 38 თვის მანძილზე გრძელდებოდა.

და აი, გამარჯვებათა სერია შეწყდა: „სტიაუა“ ამას წინათ ბუქარესტის „დინამოსთან“ დამარცხდა — 0:3.

მწვრთნელები კამათობენ

„მილანის“ საფეხბურთო კლუბის მწვრთნელმა არიგო საკიმ ასეთი განცხადება გააკეთა: — „ინტერი“ მაშინ არის ძლიერი, როცა თავს იცავს და შემდეგ კონტრშეტევაზე გადადის. ეს განცხადება ერთობ არ მოეწონა „ინტერის“ მწვრთნელს ჯოვანი ტრაპატონის: არც მინდა ვუპასუხო ასეთ პროვოკაციას. რა თქმა უნდა, იტალია დემოკრატიული ქვეყანაა და ყველას შეუძლია თავისი აზრი გამოთქვას, მაგრამ შარშანდელი სეზონის შედეგები თავისთავად მრავლისმეტყველია და კომენტარს არ საჭიროებენ.

ერთი სიტყვით, ტრაპატონი თავის მთავარ იარაღად კვლავინდებურად შეტევას მიიჩნევს.

ქვეშევრდომობა შეიცვალა

საფრანგეთის ქვეშევრდომობა მიიღო გფრ-ის ნაკრების ფეხბურთელმა კარლ-ჰაინც ფიორსტერმა, რომელიც საფრანგეთის „მარსელში“ გამოდის. ამ კლუბში თამაშობენ, აგრეთვე, სხვა უცხოელი ფეხბურთელები: კრისტ, უოდლი (ინგლისი), ფრანჩესკოლი (ურუგვაი) და მოზერი (ბრაზილია).

კ.-ჰ. ფიორსტერი თავისი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში იტალიელთა წინააღმდეგ.

„ლეგიონერები“ — ესპანეთში

წლევანდელ სეზონში ესპანეთის I დივიზიონში 47 უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს. 21 ქვეყნის წარმომადგენელთაგან ყველაზე მეტი — 8 მოთამაშე არგენტინელია, 7 — იუგოსლავიელი, 6 — ბრაზილიელი და ა. შ. გთავაზობთ „ლეგიონერთა“ სრულ სიას:

„რეალი“: სანჩესი (მექსიკა), შუსტერი (გფრ), რუჯერი (არგენტინა).

„ბარსელონა“: კუმანი (ჰოლანდია), ლაუდრუპი (დანია), ალიოზიო (ბრაზილია).

„ატლეტიკო მადრიდი“: ფუტრე (პორტუგალია), ბალთაზარი და დონატო (ორივე — ბრაზილია);

„სელტა“: ფაბიანო (არგენტინა), ნილსონი (ბრაზილია), მარიჩი (იუგოსლავია).

„ლოგრონიესი“: ისლასი (არგენტინა), ალსამენდი (ურუგვაი).

„მალაგა“: ლაურიდსენი (დანია), მატოსასი და გონსალესი (ორივე — არგენტინა).

„მაიორკა“: ზაკი (მაროკო), ვულიჩი და სტოიადინოვიჩი (ორივე — იუგოსლავია);

„ოსასუნა“: ურბანი (პოლონეთი), გრაიმსი (ირლანდია), ლი (ინგლისი);

„რაიო ვალეხანო“: ჰუგო მარადონა (არგენტინა), ბერგი (ნორვეგია).

„ალადესი“: სენდრეი (უნგრეთი), გონსალესი (სალვადორი).

„ალბაცეტეონი“: ბონჰოფი (არგენტინა).

„ოვიედო“: პიკსი (პარაგვაი).

„სევილია“: დასაევი (სსრკ), პოლსტერი (ავსტრია), ბენგოეჩეა (ურუგვაი).

„ხიხონი“: მორანი (ირლანდია), ფერერი (არგენტინა), ვერმეზოვიჩი (იუგოსლავია).

„ტენერიფე“: გუინა (ბრაზილია), ელ შარეფი (მაროკო), რომელი (პანამა).

„ვალენსია“: ბოსიო (ურუგვაი), ტონი (ბრაზილია), პენევი (ბულგარეთი).

„ვალიადოლიდი“: რავნიჩი, მილუსი, იანკოვიჩი (ყველა — იუგოსლავია).

„სარაგოსა“: ჩილავერტი (პარაგვაი), სირაკოვი (ბულგარეთი).

„სან სებასტიანი“: ოლდრიჯი (ირლანდია).

ბილბაოს „ატლეტიკს“ უცხოელი მოთამაშე არ ჰყავს.

(სპა. ინფ.)

ლუცერნში, 27 ოქტომბრიდან

(დასასრული)

ლმძღვანელმა, ცნობილმა დიდოსტატმა ბორა ივკოვმა (რომელმაც ამ პოსტზე დრაკო ველიმიროვიჩი შეცვალა) ჯერ კიდევ წლის დასაწყისში შეადგინა გუნდის კანდიდატთა სია და შემდეგ სისტემატურად ადევნებდა თვალყურს ამ მოჭადრაკეთა საბრძოლო მზადყოფნას. სხვათა შორის, მან არც 66 წლის ვეტერანი, განთქმული სვეტოზარ გლიგორიჩი დაივიწყა. მაგრამ რამდენიმე წლევანდელი მარცხიანი სატურნირო გამოსვლის შემდეგ თვით ვეტერანმა შეუძლებლად მიიჩნია გუნდში თამაში, სამაგიეროდ, მწვრთნელს პრედრაგ ნიკოლიჩის (მეორე დაფა) დიდი იმედი აქვს. იუგოსლავიელებისა არ იყოს, მთლიანად დიდოსტატებით იქნება დაკომპლექტებული ინგლისის, აშშ-ისა და უნგრეთის გუნდები. ინგლისელები აპირებენ თავიანთი უკანასკნელი წარმატებების გამეორებას, ისინი ხომ ბოლო ოლიმპიადებზე ვერცხლის მედლებს იხვეჭენ. მედლებს უმიზნებენ იუგოსლავიელებიც, თუმცა ნათელი არ არის, როგორი ღირსების ჯილდოებზეა ლაპარაკი. არც უნგრელებს დავიწყებიათ ის დრო, როცა ჩემპიონები გახდნენ. სხვათა შორის, უნგრელთა გუნდის შემადგენლობა ამ დროიდან მოყოლებული ოდნავ თუ შეიცვალა.

საბჭოთა ნაკრებში დიდ ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა დადოსტატ ვასილი ივანჩუკის გამოსვლა. საქმე ის არის, რომ ლვოველი მოჭადრაკე დიდი წარმატებით თამაშობს თითქმის ყველა წლევანდელ ტურნირში, ზოგი მიმომხილველი კი მას, არც მეტი, არც ნაკლები, მომავალ მსოფლიო ჩემპიონად მიიჩნევს.

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ლუცერნში 9 ნოემბრამდე გაგრძელდა, 21 ნოემბერს კი ჰაიფაში (ისრაელი) იწყება კიდევ ერთი ფრიად საინტერესო შეჯიბრება — ევროპის გუნდური პირველობა. აქ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ჩვენი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილიც ითამაშებს.

ბორის ბაბრეკელი.

მთაში—მთის პრობლემებზე

მთის პრობლემებს ყველაზე უკეთ სწორედ მთაში გაეცნობი. ეს კალამბური არ გახლავთ და სანქმე არც ისაა, გაგონილს ნანახი რომ სჯობია. იქ ისე უცბად წამოყოფს თავს ესა თუ ის სატკივარი, როგორი მოულოდნელობითაც სავსეა თვით მთა და, თუ ასევე მეყსეულად არ დააფიქსირე იგი მეხსიერებაში, მაშინვე უკვალოდ გაქრება. არადა, მთის წვრილმანები არ არსებობს და ყველაფერი გათვალისწინებასა და ყურადღებას ალბათ იმიტომ მოითხოვს. ამიტომაც, თუ ვიწოდებით მთიან მხარედ, კეთილი ვინებოთ და ვიზრუნოთ, რომ სავსებით ვამართლებდეთ ამ სახელს.

ბევრს დაებადება კითხვა: კი მაგრამ, რა თვალსაზრისით უნდა ამართლებდეს საქართველო ამ სახელს?

ალბათ, პირველ ყოვლისა, იმით რომ ჩვენში ძალზე პოპულარული უნდა იყოს თვით მთამსვლელობა, რადგან, გარდა იმისა, რომ მთიან მხარედ ვიწოდებით, საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებლები სწორედ ჩვენ, ქართველები ვართ და მისგან შორს არ უნდა ვიყოთ, ყოველი მეათე მაინც უნდა დადიოდეს მთაში. ეს ვალის მოხდა კი არაა, არამედ ჩვენი ბუნება და ხასიათი ითხოვს ამას. ცუდი კაცი მთაში არ წავაო, უთქვამთ. მე კი დავუმატებდი, ცუდიც კი სულ სხვა კაცად დაბრუნებულა მთიდან. შეუძლებელია, რომ შენში მთამ შთაბეჭდილება არ მოახდინოს, სულიერად არ გაგამდიდროს, სილამაზეს არ გაზიაროს, გაჭირვებულისაკენ არ მიგახედოს.

არც მწვერვალთა სიღარიბით დავუჩაგრავართ ღმერთს და ჩვენი კავკასიონი ჰიმალაის, პამირ ტიან-შანზე თუ არა, ბალკანეთსა და ტატრებზე ხომ „მაღლა“ დგას სხვადასხვა თვალსაზრისით. სწორედ ამიტომაც დღეს მთელი ევროპა თუ არა, მისი აღმოსავლეთი ნაწილი მაინც კავკასიონისაკენაა დაძრული. ამაში ადვილად დარწმუნდებით, როცა შესტიასა და ყაზბეგში შეხვდებით ჩეხოსლოვაკიელებს, ავსტრიელებს, გდრ-ის, გფრ-ისა და სხვა ქვეყნების მთამსვლელებს, რომლებიც პირდაპირ მიილტვიან თეთნულდის, უშბისა თუ მყინვარწვერისაკენ. მაგრამ, სამწუხაროდ, კავკასიონის ამიერს ყველას მიღება არ შეუძლია ამ უბრალო მიზეზის გამო, რომ სათანადო პირობები არა გვაქვს. არადა, ბულგარეთის ბალკანეთის დაბალ მთიან ზონაში (კავკასიონის მეოთხედია) თურმე 150 ქოხი, სასტუმრო და თავშესაფარია, რომლებიც ნიადაგ იღებენ მთამსვლელებს და სათანადო მომსახურებას უწევენ ღამის თევითა და საკვებით, რაზეც ჩვენ ჯერჯერობით ოცნებაც კი არ შეგვიძლია.

რაც შეეხება ჩვენში ალპინიზმის მასობრიობას, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ახლა ეს სახეობა გულცივობის ლაბირინთშია მოქცეული და ძალზე უმნიშვნელო ღონისძიებები ტარდება მის გასავითარებლად. სპორტსაზოგადოებები „შრომითი რეზერვები“, „დინამო“ და დოსაააფიც სრულიად უგულვებელყოფენ ამ მამაცთა სპორტს. კარგა ხანია, არც ალპინიზმის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი სემინარები ჩაგვიტარებია, რომელთა ნაკლელობასაც ასე განვიცდით.

ერთ-ერთი მასობრივი საშუალება შეკრება — ალპინიადა გახლავთ, რომელსაც ბოლო წლებში ასე გულმოდგინედ მართავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. წარსულში ცნობილი მთამსვლელის გიორგი ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. ეს წერილიც ამ ალპინიადის — იგი მყინვარწვერსა და ორწვერზე მოეწყო — შთაბეჭდილებებით იწერება. მაგრამ აკადემიის ღონისძიებები სათანადოდ ვერ გაზრდის მთამსვლელობის მასობრიობას, რადგან ალპინიადა სპორტის ამ სახეობის ანბანთან ერთად ერთგვარი „ვირუსია“, რომელიც მთის სიყვარულით „წამლავს“ ახალგაზრდას. ამის უმრავი მაგალითის მოტანა შეიძლება ქართული ალპინიზმიდან. მაგრამ მას, ვინც მოწაფეობის ან სტუდენტობის წლებში ეწვევა პირველად მთას, შემდგომი დაოსტატებისათვის დროც დიდი აქვს და ასპარეზიც. აკადემიის ალპინიადის მონაწილენი კი „ასაკგადაცილებულნი“ და, რაც მთავარია, თავიანთ სამეცნიერო მუშაობით დიდად დაკავებულნი არიან, რის გამოც მთას ამდენ დროს ვერ შესწირავენ. ამიტომ მთი გატაცება „სასიამოვნო გაპეიერნება“ უფროა და არა სერიოზული სპორტი.

მართალია, აკადემიის ალპინიადებთან ერთად გვაქვს რესპუბლიკური ალპინიადების ტრადიციაც, მაგრამ იგი სხვადასხვა მიზეზთა გამო ხშირად არ ტარდება!

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ალპინიზმი საკმაოდ ძვირად ღირებული სახეობაა. თუ მაღალხარისხოვანი საჭურველი არა გაქვს, წარმატებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომ იგი ელიტარულ სპორტს განეკუთვნება და რესპუბლიკური ალპინიადებიდან სათანადო შევსებას ვერ ვიღებთ, რადგან ეს ასვლები პროფკავშირული ანარიცხებით ფინანსდება, თანაც მონაწილეთა კონტინგენტს ფაბრიკა-ქარხნების მუშები შეადგენენ და ამდენად, არა გვგონია, რომ მათ ძვირად ღირებული, თანაც უცხოური საჭურვლის შეძენის სახსრები ჰქონდეთ.

მთამსვლელთა ქოხები და თავშესაფრები ვახსენეთ. ჩვენში ერთადერთი მსგავსი რამ მარტო მყინვარწვერის (მისადგომებთან, გერგეტის მყინვარზე, 3.700 მეტრ სიმაღლეზე მდებარე მეტეოსადგურია და, როგორც თვით სახელწოდებიდან ჩანს, ის მეტეოსამსახურისთვის არის განკუთვნილი. მაგრამ მას ხშირად აკითხავენ მთამსვლელები, რომლებიც ამ რაიონში ლაშქრავენ მწვერვალებს. აქ არავითარი პირობები არ არის ალპინისტთა მისაღებად. მათთვის თითქოს გამოყოფილია ოთხი ოთახი. ეს არის და ეს. სხვა სიკეთე, რაიმე სათავსი, მწვერვალიდან დაბრუნებულთა სულის მოსათქმელი სამუალება იქ. არ არის.

ვერც ალპინისტური საჭურვლით მოვიწონებთ თავს. ერთი სიტყვით, მთის საკითხში ბევრი სატკივარი გვაქვს.

მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვს. აბა, სცადე და აკრძალე მყინვარწვერზე ასვლა. იგი მაინც უამრავ მოყვარულ — მთამსვლელს მიიზიდავს, რაც მსხვერპლს როდი გამორიცხავს. მაშ, რა ვქნათ?

სხვათა შორის, სხვა რესპუბლიკებში, კერძოდ რსფსრ-ში უკვე გამონახეს მოქმედების ახალი ფორმა, რამაც მასობრივ ლაშქრობებსა და ასვლებს მისცა ბიძგი, აგრეთვე სამრეწველო ალპინიზმის განვითარების მხრივ გარკვეული შედეგი გამოიღო. საგრძნობლად გაიზარდა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სამრეწველო ალპინიზმის კოოპერატივები. მარტო შარშან 60 კოოპერატივი იყო. ფინანსურად დამოუკიდებელი მათს კოლექტივებს რეალური საშუალება ეძლევათ განავითარონ ეს ძვირად ღირებული სახეობა.

იქნებ ჩვენც გვეფიქრა ამაზე? მით უმეტეს, რომ საქართველოს კავკასიონის მასივებს საერთაშორისო სარბიელზე „გასვლის“ დიდი პერსპექტივა აქვს. ამას უცხოელთა ის „შემოსევაც“ მეტყველებს, რომელზეც უკვე ითქვა. იმედია საერთაშორისო კოოპერირებაც დიდად შეუწყობს ხელს ქართული ალპინიზმის განვითარებას.

და ბოლოს, ამჯერად საგანგებოდ ვარიდებთ თავს საუბარს ქართული მთამსვლელობის საერთო მდგომარეობაზე, მის ავ-კარგზე, რადგან იქ ჯერაც ბევრი პრობლემაა ისეთი, გულდასმით შესწავლასა და სათანადო დასკვნებს რომ მოითხოვს. სწორედ ამიტომ, საქართველოს სპორტსახკომმა საგანგებო კომისიას დაავალა ეს საქმე, და ალბათ მალე გვეცნობით მის საბოლოო დასკვნებს.

შუანგ ჯიჯინაძე,
ჩვენი სპეც. კორ.
გერგეტი, სექტემბერი.

ვალიადოლიდოლთა ორი ბაბილონელი

კალათბურთში ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში ყურადღების ცენტრში იყო „კაი სარაგოსასა“ და მადრიდის „რეალის“ მატჩი სარაგოსაში. „რეალმა“ ძალზე ძნელი გამარჯვება მოიპოვა 75:73. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ანდერსონი (20 ქულა). გასვლით მატჩში ძნელი გამარჯვება მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონმა „ბარსელონამაც“, რომელმაც „ვილაალბას“ სძლია — 95:91.

მეორე ტურში მარცხი იწვნია „ბარსელონამ“, რომელმაც საკუთარ მოედანზე წააგო შეხვედრა „ჰუვენტუდ ბადალონასთან“ — 70:77. ჩემპიონის წარუმატებლობას ესპანელი მიმომხილველები ხუან ანტონიო სან-ეპიფანიოს და ხვენ ტრუმბის ავადმყოფობას უკავშირებენ. მადრიდის „რეალმა“ ფერნანდო მარტინის კარგი თამაშის შედეგად სძლია „ესტუდიანტესს“ — 93:83. „კაი სარაგოსამ“, რომლის რიგებშიც თამაშობს მსოფლიოს, ევროპის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, კიეველი ალექსანდრ ბელოსტენი, ბილბაოში დაამარცხა ადგილობრივი გუნდი 77:72.

ცხადია, ყველას აინტერესებს როგორ აიღო სტარტი ვალიადოლიდის გუნდმა „ფორუმმა“. სადაც საბჭოთა კალათბურთელები არვიდას საბონისი და ვოლდემარას ხომიჩუსი გამოდიან. პირველ ტურში საბონისის (34 ქულა) ბრწყინვალე თამაშის წყალობით მასპინძლებმა დაამარცხეს „პამეზა“ — 87:82, ხოლო მეორე ტურში სძლიეს „კიკანარიასს“ — 85:79. როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ იტყობინება, ამ მატჩში ბრწყინვალედ ითამაშეს საბონისმა (29 ქულა, 5 სწრაფი დაფარება და 16-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს) და ხომიჩუსმა (23 ქულა).

პუბლიკაცია მოამზადა
მერაბ კალანდაძემ.

დაცემა ხუთგზის ალმასვლის შემდეგ

კატმანდუ. ტრაგიკულად დაიღუპა ცნობილი ნეპალელი ალპინისტი სუნგდარ შერპა — მსოფლიოში ერთადერთი ადამიანი, რომელმაც ხუთჯერ წარმატებით დალაშქრა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (8843 მ.). სუნგდარი უანასკნელად „მსოფლიოს ბანს“ შარშან ეწვია, ნეპალის, ჩინეთისა და იაპონიის მთამსვლელთა ერთობლივი ასვლისას.

ნეპალის ტურიზმის სამინისტროს ცნობაში ნათქვამია, რომ 33 წლის მთამსვლელი იმსხვერპლა მთის მდინარე პანგბოჩამ. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ გამოცდილი ალპინისტი შეიძლებოდა წყალში ჩავარდნილიყო. სუნგდარის შეგობარი შერპები ამბობენ, რომ ბოლო ხანს იგი ძალზე მიეძალა სასმელს, რის გამოც ოჯახური უსიამოვნებანი ჰქონდა. მთის მდინარის მორევში თავგანწირული ნახტომი — ცხოვრებასთან ანგარიშსწორების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა შერპთა, ნეპალელ მთის მკვიდრთა შორის.

რეკორდები კოლორადო — სპრინგსის ტრეკზე

ნიუ-იორკი. ამერიკის ამ მაღალმთიანი ქალაქის ღია ტრეკზე „დაეცა“ ორი მსოფლიო რეკორდი. ახალი მიღწევების ავტორები აქაური ველოსიპედისტები არიან.

ჯონ ფრეიმ 20 კმ 30,068 წამში დაფარა და გააუმჯობესა დანიელი მრბოლის ჰანს ორსტედის რეკორდი (24.25,030), რომელიც აგრეთვე დამყარებული იყო მაღალმთიან სარბიელზე, მეხიკოში. 100 კმ 2:09. 11,312 წამში განვლო კენტ ბასტიკმა. მან ორი წლის წინათ ციურიხში შვეიცარიელი ბ. მეისლერის მიერ დამყარებულ მიღწევას (2:11.21, 428) საგრძნობლად „ჩამოაკლო“ წამები.

რედაქტორის მოადგილე
შ. ჯიჯინაძე.

მაქინაციები „ფორმულის“ გარშემო

„ლოტუსის“ გუნდის საფინანსო ადმინისტრატორის ფრედ ბაშელის დაპატიმრებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საავტომობილო წრეებში. ბაშელი დააკავეს საკუთარ სახლში და გადაიყვანეს ბელფასტში (ჩრ. ირლანდია), სადაც სასამართლო პროცესი უნდა გაიმართოს. საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ ბაშელმა, ფირმა „დე ლორეანში“ მუშაობისას, მიითვისა საკმაოდ სოლიდური თანხა, 10 მილიონი დასავლეთგერმანული მარკა. შეგახსენებთ, რომ ეს ამერიკული საავტომობილო ფირმა 1982 წელს გაკოტრდა. ამ ფაქტმა თავის დროზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, დაიწერა ორი წიგნი, საგაზეთო სტატიებს კი თვლა არ ჰქონდა. ყველა მათგანში „ლოტუსის“ გუნდის აწგარდაცვლილ ხელმძღვანელ კოლინ ჩეპმენსა და ამერიკელ საავტომობილო მაგნატ ჯონ დე ლორეანს ბრალი ედებოდათ იმაში, რომ, თითქოსდა, პანამის ბანკის ანგარიშზე გადარიცხეს ის თანხები, რომლებიც ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობამ გამოუყო ამ ფირმას ინვესტიციებზე დამატებით. ამ დროს ფრედ ბაშელი „ლოტუსის“ კონსულტანტი იყო, შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში — გენერალური დირექტორი, მანამდე, სანამ „ლოტუსი“ შეიძინა „ჯენერალ მოტორსმა“.

ამჟამად ბაშელი თავდებითაა განთავისუფლებული. დადის ხმები, რომ „ლოტუსის“ სპონსორი ფირმა „ქემელი“ ჩეპმენის ძველი ამბის გამოაყენებას აპირებს ხელშეკრულების დასარღვევად. საქმე ისაა, რომ „ქემელი“ უკმაყოფილოა „ლოტუსის“ მრბოლების, ნელსონ პიკესა და სატორუ ნაკაძიმას გამოსვლებით.

სიტყვაძვირი კონსტრუქტორი

„ფერარის“ გუნდის კონსტრუქტორი ჯონ ბერნარდი ცნობილია როგორც სიტყვაძვირი კაცი. ამჯერადაც, მას შემდეგ, რაც გამოცხადდა, რომ იგი ტოვებს „ფერარის“, ბერნარდი ცდილობს ამ ფირმაზე არაფერი თქვას ცუდი. თუმცა, როდესაც გახშირდა მითქმა-მოთქმა კონსტრუქტორის პირად პასუხისმგებლობაზე „ფერარის“ წლევანდელი წარუმატებლობის გამო, რაც გამოწვეული იყო მის მიერ კონსტრუირებული ნახევარავტომატური სიჩქარეთა კოლოფის არასაიმედოობით, ბერნარდმა განაცხადა: „ჯერ კიდევ გაზაფხულზე, წინასწარი ვარჯიშების დროს ვამტკიცებდი, რომ ადგილი უნდა შეეცვალათ გენერატორისთვის“.

მიუხედავად იმისა, რომ იგი ტოვებს გუნდს, ბერნარდი ურჩევდა „ფერარის“ რგოლის გარყოფილების ხელმძღვანელს ჩეზარე ფორიოს, გაეგრძელებინა ამ სიჩქარეთა კოლოფზე შემდგომი მუშაობა. ამ უკანასკნელმა ეს წინადადება უარყო.

როგორც ცნობილია, ბერნარდის ადგილს ამერიდან ენრიკე სკალაბრონი დაიკავებს. თავის შეფასებაში ბერნარდი ძალზე თავშეკავებულია: „იგი მეორე იყო „უილიამსში“, მაგრამ „ფერარისთან“ მას ორი უპირატესობა აქვს ჩემთან შედარებით — იგი ლაპარაკობს იტალიურად და იტალიაშივე გადავა საცხოვრებლად“. თავად ბერნარდი ინგლისში მუშაობდა, სადაც „ფერარომ“ სპეციალური საკონსტრუქტორო სახელოსნო აუშენა.

პრეზიდენტი გადარჩა...

ფიხა-ს და ფია-ს პრეზიდენტი ჟან-მარი ბალესტრი და მისი თანამგზავრი, „სილვერსტოუნის“ ტრასის მესტატე, შეიძლება ითქვას, ბედზე გადარჩნენ, როდესაც სტარტის შემდეგ გადადიოდნენ ტრასაზე. საქმე ისაა, რომ ამ დროს „ოზელას“ მრბოლი ნიკოლა ლარინი მანქანით გამოვიდა ბოქსების ხაზიდან და კინაღამ გაიტანა ეს ორი ოფიციალური პირი. თავის დროზე ბალესტრი 2.000 დოლარ ჯარიმას ახდევინებდა აირტონ სენას, რომელმაც „პოლ რიკარის“ ტრასა გადაკვეთა ბოქსში შესასვლელად. ამჯერად რბოლის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ისე დაეჭირა თავი, თითქოს ეს ინციდენტი არც მომხდარა...

„სპორტპროგნოზი“, 45-ე ტირაჟის პროგრამა (4-5 ნოემბერი)

		პროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
1. „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)	4.XI	80	10	10
2. „ტორპედო“ (იაროსლავლი) — ცსკა	5.XI	10	80	80
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)				
3. „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „შინიკი“ (იაროსლავლი)	5.XI	80	60	10
4. „გურია“ (ლანჩხუთი) — „კაირატი“ (ალმა-ათა)	5.XI	50	30	20
5. „დინამო“ (სტავროპოლი) — „ფახთაჭორი“ (ტაშკენტი)	5.XI	70	20	10
6. „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „უუბანი“ (კრასნოდარი)	5.XI	40	40	20
7. „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „დინამო“ (ბათუმი)	5.XI	60	30	10
8. ცსკა — „ნეფთჩი“ (ბაკო)	5.XI	80	10	10
9. „კუზბასი“ (კემეროვო) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	5.XI	30	60	10
10. „დაუგავა“ (რიგა) — ახკ (როსტოვი)	5.XI	10	40	50
11. ახკ „კარპატი“ (ლვოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	5.XI	10	30	60
12. „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი)	5.XI	60	20	20
13. „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)	5.XI	30	60	10

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 521